პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოსა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

გამოცემის 46-ე წელი. № 118 (13512) | ოთხშაბათი, 25 მაისი, 1966 წ. | ფასი 2 კაპ.

ᲨᲠᲝᲛᲘᲗᲘ ᲜᲝᲒᲐᲗᲔᲒᲘ

წინასაარჩევნო ვახტაზე

ᲘᲕᲜᲘᲡᲘᲡ ᲐᲜᲒᲐᲠᲘᲨᲘ

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს არჩევნებისადმი მიძღვნილ სოციალისტურ შეჯიბრებაში დაწინაურდა თბილისის ფანერის ქარხნის კოლექტივი, რომელმაც 24 მაისისათვის გადაჭარბებით შეასრულა საერთო პროდუქციის გამოშვების ხუთი თვის საწარმოო გეგმა და მომხმარებელს დამატებით 70 ათასი მანეთის პროდუქცია გაუგზავნა. ხუთ თვეში წარმოებულია 35 ათასი კვადრატული მეტრით მეტი ფანერა. გადაჭარბებით შესრულებულია პროდუქციის რეალიზაციის დავალებაც.

აღსანიშნავია, რომ ქარხანას წელს არც ერთი რეკლამაცია არ მიუღია, რაც პროდუქციის მაღალ ხარისხზე მეტყველებს.

არჩევნებისადმი მიძღვნილ სოციალისტურ შეჯიბრებაში დაწინაურდა ფანერის დამამზადებელი საამქრო, რომელიც 24 მაისიდან პროდუქციას იძლევა ივნისის ანგარიშში.

ᲖᲔᲓᲐᲖᲔᲓᲛᲘᲗᲘᲡ ᲛᲝᲒᲖᲔᲑᲐ

ᲯᲣᲗᲐᲘᲡᲘ. (საკ. კორ.). რიონჰესის კასკადის კოლექტივმა ვადამდე შეასრულა ელექტროენერგიის გამომუშავების ხუთი თვის დავალება და გეგმის გადამეტებით ივნისის ანგარიშში 17,3 მილიონი კილოვატ-საათი ელექტროენერგია გამოიმუშავა. განსაკუთრებულ პერიოდში საკუთარ მოხმარებაზე დაზოგილია 62.000 კილოვატ-საათი ელექტროენერგია. ენერგეტიკოსებმა გამომუშავებული ენერგიის თვითღირებულება 24 პროცენტით შეამცირეს და 50 ათას მანეთზე მეტი ზედმეტი მოგება მიიღეს.

რიონჰესის კოლექტივის გადაწყვეტილებაა ნახევარი წლის საწარმოო დავალება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს არჩევნების დღისათვის — 12 ივნისისათვის შესრულოს.

ᲛᲝᲗᲐᲕᲠᲝᲑᲘᲡ ᲧᲘᲚᲓᲝᲔᲑᲘᲡ ᲒᲐᲓᲐᲪᲔᲛᲐ

ᲡᲝᲮᲣᲛᲘ. (ხაკ. კორ.). პარტიამ და მთავრობამ დიდად დააფასეს აფხაზეთის მშრომელთა თავდადებული მუშაობა. სსრ კავშირის ორდენებითა და მედლებით დაჯილდოებულ საქართველოს სახალხო მეურნეობის, კულტურისა და მეცნიერების მუშაკთა შორის აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის შვიდასამდე წარმომადგენელია.

სოხუმის სახელმწიფო დრამატული თეატრის შენობაში თავი მოიყარეს მეცენიერებისა და სოფლის მეურნეობის მოწინავეებმა, პარტიული, საბჭოთა, კომკავშირული, პროფკავშირული ორგანიზაციების მუშაკებმა. შეკრებილთ გულთბილად მიესალმა ხალართველოს კ აფხაზეთის საოლქო კომიტეტის პირველი მდივანი **ვ. კობახია**, მან მხურვალედ მიულოცა დაჯილდოებულთ თავიანთის სიპატიო ჯილდოები და სურვილი გამოთქვა ახალი წარმატებანი.

აფხაზეთის სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანმა **შ. ლაკობამ** წაიკითხა სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება იმის შესახებ, რომ თჩამჩირის რაიონის სოფლიანოვის სახელობის კოლმეურნეობის წევრს მარიამ კოწოს ასულ **ადლეიბას**, ტყიბარჩილის ქვანახშირის ტრესტის № 2 შახტის გვირაბგამყვანთა ბრიგადირს მიხეილ ვართანის-ძე **ბიგვავას**, გუდაუთის რაიონის ორჯონიკიძის სახელობის კოლმეურნეობის თავმჯდომარეს დავით ალიმის-ძე **გოგობერიშვილს**, გუდაუთის რაიონის სოფელ დერიფშის კოლმეურნეობის თავმჯდომარეს ვლადიმერ ანტონის-ძე **ლაკოიას**, გაგრის რაიონის ოდაბოვის სახელობის კოლმეურნეობის წევრს ხორენ აბრამის-ძე **ჩაკრიანს** სოციალისტური შრომის გმირის წოდება მიენიჭოთ.

Მ. ᲜᲘᲙᲘᲤᲝᲠᲘᲩᲘ ᲛᲝᲡᲙᲝᲕᲨᲘ

ᲛᲝᲡᲙᲝᲕᲘ, 24 მაისი. (საკდესი). **სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრის მოწვევით დღეს მოსკოვში ოფიციალურ ვიზიტად ჩამოვიდა იუგოსლავიის სოციალისტური ფედერაციული რესპუბლიკის საგარეო საქმეთა სახელმწიფო მდივანი მ. ნიკეზიჩი.**

ᲛᲐᲢᲔᲠᲘᲐᲚᲣᲠᲘ ᲓᲐᲘᲜᲢᲔᲠᲔᲡᲝᲕᲐ — ᲡᲘᲡᲬᲠᲐᲤᲘ ᲡᲐᲛᲡᲐᲮᲣᲠᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ!

ᲐᲠᲩᲔᲕᲜᲔᲑᲘᲡ ᲛᲜᲘᲨᲕᲜᲔᲚᲝᲕᲐᲜᲘ ᲔᲢᲐᲞᲘ

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს არჩევნებს ოც დღეზე ნაკლები გვაშორებს. ჩვენი რესპუბლიკის მშრომელები სახალხო მეურნეობის ყველა უბანზე თავდადებით შრომობენ იმისათვის, რომ ამ დღეს ახალი შრომითი წარმატებებით შეხვდნენ.

უკვე დამთავრდა დეპუტატობის კანდიდატთა რეგისტრაცია. მოეწყო მშრომელთა წარმომადგენლების წინასაარჩევნო სალაქო თათბირები, ახლა მიმდინარეობს დეპუტატობის კანდიდატთა შეხვედრები ამომრჩევლებთან. ამით საარჩევნო კამპანია გადამწყვეტ სტადიაში შევიდა.

ახლა მთელ ჩვენს დიდ ქვეყანაში გაჩაღებულია საგაზეთაცო მუშაობა სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატთა სასარგებლოდ. ადგილობრივი პარტიული ორგანიზაციები, აგიტატორები, პროპაგანდისტები, ნდობით აღჭურვილი პირები ფართოდ აცნობენ ყველა ამომრჩეველს დეპუტატობის კანდიდატთა ბიოგრაფიებს, მათს საწარმოო და საზოგადოებრივ საქმიანობას, ერთსულოვნების ვითარებაში მიმდინარეობს დეპუტატობის კანდიდატებთან შეხვედრები.

წელს არჩევნებისათვის მზადება დაემთხვა დიდმნიშვნელოვან მოვლენას, როცა ჩვენი ხალხი წინ მიდის სკკპ XXIII ყრილობის გადაწყვეტილებათა დროშით. ყრილობამ ყოველმხრივ განსაზღვრა პარტიისა და ჩვენი ქვეყნის ამოცანები უახლოესი წლებისათვის. ყრილობის გადაწყვეტილებებს ერთსულოვნად დაუჭირა მხარი ხალხმა. ახლა თვითეული საბჭოთა ადამიანი აჩაღებს თავდადებულ ბრძოლას მათი, განხორციელებისათვის.

ჩვენი რესპუბლიკის მუშები, მშენებლები, ინჟინერ-ტექნიკოსები მოწოდებული არიან განუხრელად გაადიდონ პროდუქციის გამოშვება, გააუმჯობესონ მისი ხარისხი, აამაღლონ შრომის ნაყოფიერება, შეამცირონ დანახარჯები პროდუქციის ერთეულზე, განამტკიცონ საწარმოთა ეკონომიური მაჩვენებლები. სოფლის მშრომელთა მოვალეობაა მიაღწიონ თვითეული მეურნეობის რენტაბელობას, აამაღლონ მიწათმოქმედების კულტურა, მოსავლიანობა, დანერგონ ყოველივე მოწინავე, რასაც იძლევა მეცნიერება და პრაქტიკა, შესრულონს ვალდებულებანი სახელმწიფოს წინაშე. ჩვენი ინტელიგენციის კეთილშობილური მოწოდებაა იბრძოლოს ჩვენი სამშობლოს შემდგომი პროგრესისათვის მეცნიერებისა და კულტურის დარგში.

რედაქციაში მოდის სასახარულო ცნობები, თუ რა თავდადებით შრომობენ ჩვენი რესპუბლიკის მშრომელები საწარმოებში. მშენებლობებზე, კოლმეურნეობებში. საბჭოთა მეურნეობებსა და დაწესებულებებში. ბრძოლა დღითიდღე ჩაღდება ხუთწლიდის პირველი წლის დავალებათა ვადამდე განაღდებისათვის.

ახლა საქართველოს რაიონებში თავდადებით შრომობენ საგაზაფხულო სამუშაოების სანიმუშო აგროტექნიკურ ვადებში დამთავრებისათვის, პირუტყვის საზაფხულო ბალაღებზე გადარეკვისათვის.

მშრომელთა ამ შრომითს აღმავლობას საოავეში უნდა ჩაუდგნენ ადგილობრივი პარტიული ორგანიზაციები. გააძლიერონ ორგანიზატორული და პოლიტიკური მუშაობა, დარაზმონ და წარმართონ მშრომელები პარტიის XXIII ყრილობის მიერ დასახული ნათელი და კონკრეტული ამოცანების შესასრულებლად.

მუდამ უნდა გვახსოვდეს, რომ აგიტაცია კომუნისტებისა და უპარტიოების ურღვევი ბლოკის კანდიდატების სასარგებლოდ ხელს უწყობს ჩვენი სოციალისტური წყობილების დიდი უპირატესობების, საბჭოთა კავშირის ხალხთა მეგობრობისა და ძმობის ცხოველმყოფელი ძალის უფრო ღრმად და მკვეთრად გამოვლინებას. არასოდეს არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ ჩვენში შექმნილია ყველა ერისა და ეროვნების ბეშმარიტად ძმური კავშირი. ეს სოციალისტური რევოლუციის უდიდესი მონაპოვარია. ჩვენი სიამაყე და ჩვენი უძლეველობაა. აი ამიტომ ახე მახლობელი და ძვირფასია მილიონობით საბჭოთა ადამიანისათვის პარტიის მიმართვის სიტყვები — განამტკიცონ ხალხთა მეგობრობა, მათი შეკავშირება ერთიან საბჭოთა კავშირში.

მოსახლეობაში საგაგიტაციო-პროპაგანდისტული მუშაობის ცენტრს წარმომადგენენ საარჩევნო უბნები და მათ აგიტპუნქტები. პარტიული ორგანიზაციები, რომლებიც ანაღებენ აგიტაციას დეპუტატობის კანდიდატთა სასარგებლოდ, მოწოდებული არიან ფართოდ გამოიყენონ მასობრივ-პოლიტიკური მუშაობის ისეთი ფორმები, როგორიც არის მშრომელთა კრებები, ლექციები, მოხსენებები, საუბრები, გაზეთებისა და ბროშურების კითხვა, კონსულტაციები, ახალგაზრდა ამომრჩეველთა კითხვა-პასუხის ხაღამოები, შეხვედრები პარტიის XXIII ყრილობის დელეგატებთან.

თბილისში, სოხუმში, ბათუმში, ქუთაისში, ცხინვალში, რუსთავსა და ჩვენი რესპუბლიკის სხვა ქალაქებსა და რაიონებში პირველადმა პარტიულმა ორგანიზაციებმა პროპაგანდისტულ მუშაობაში ჩააბეს აქტივის უზარმაზარი არმია. ენერგიულად მუშაობს ინტელიგენცია, ლექტორთა ჯგუფები, კულტურის სახლები, ბიბლიოთეკები, სამკითხველოები და სხვა კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებები. ყოველივე ეს ხელს უწყობს იმას, რომ მოსახლეობაში პოლიტიკური გაგლენის სფერო გაფართოვდეს არა მარტო აგიტპუნქტებში. არამედ აგრეთვე საერთო საცხოვრებლებში, ამომრჩეველთა ბინებში.

ბევრგან ეს მუშაობა მეტად საინტერესოდ არის მოწყობილი. სოფელ ტყიბულოვანის (ზიაათურა) საარჩევნო უბანთან მოეწყო ახალგაზრდა ამომრჩეველთა შეკრება. ამომრჩეველთა უფლებამოვალეობაზე, საბჭოთა საარჩევნო სისტემის უპირატესობასა და დემოკრატიულ ხასიათზე შეკრებილთა ესაუბრა აგიტპუნქტის გამგე ვ. ჩინჩალაძე.

ახალგაზრდა ამომრჩევლებმა რ. მუმლაძემ, გ. ჩინჩალაძემ და სხვებმა სიხარულით აღნიშნეს, რომ ისინი წელს პირველად მისცემენ ხმას კომუნისტებისა და უპარტიოების ბლოკის ღირსეულ კანდიდატებს და ვალდებულებებს იკისრეს ახალი შრომითი წარმატებებით შეხვდნენ არჩევნების დღეს.

თელავის რაიონის აგიტპუნქტებს 1.500 აგიტატორი ემსახურება. ყველაზე სანიმუშოა იყალთოს აგიტპუნქტი, რომელსაც ნ. ბერძენიშვილი ხელმძღვანელობს.

აქ ამომრჩეველთათვის ორჯერ მოეწყო კითხვა-პასუხის საღამო. პუნქტში მოწყობილია მდიდარი გამოფენა, სადაც ასახულია ჩვენი ქვეყნის სასახელო წარმატებანი და მომავლის დიდი პერსპექტივები.

მთავარია ამომრჩეველთა შეხვედრების დროს გულმოდგინედ დავუგდოთ ყური მშრომელთა კრიტიკულ შენიშვნებს, სურვილებს და შემდგომ ვიბრძოლოთ მათი შესრულებისათვის.

საარჩევნო კამპანია გადამწყვეტ სტადიაში შევიდა. მიმდინარეობს დეპუტატობის კანდიდატთა შეხვედრები ამომრჩევლებთან. ხალხი ამ შეხვედრებზე სიხარულით მიდის. იცის, რომ სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატებად დასახელებული არიან საუკეთესო ადამიანები, რომლებმაც თავდადებული შრომით, მთელი თავიანთი ცხოვრებით დაამტკიცეს სამშობლოსადმი, პარტიისადმი, კომუნიზმის საქმისადმი ერთგულება.

ჩვენი რესპუბლიკის მშრომელები მზად არიან პატრიოტული გრძნობით მოიხადონ თავიანთი მოქალაქეობრივი მოვალეობა — 12 ივნისს ერთსულოვნად აირჩიონ ჩვენი ქვეყნის სახელმწიფო ხელისუფლების უმაღლესი ორგანო — სსრ კავშირის უმაღლესი საბჭო, ხმა მისცენ ყველაზე რჩეულ ადამიანებს.

ჩვენმა ხალხმა კარგად იცის, რომ ამ პატრიოტული მოქალაქეობრივი მოვალეობის მოხდით ისინი ხმას აძლევენ პარტიის XXIII ყრილობის ისტორიულ გადაწყვეტილებებს, რომლებითაც განსაზღვრულია ჩვენი ქვეყნის შემდგომი ეკონომიური ძლიერების, ხალხთა საყოფაცხოვრებო პირობების მკვეთრი გაუმჯობესების ამოცანები.

ᲬᲐᲠᲛᲐᲢᲔᲑᲐᲡ ᲒᲘᲡᲣᲠᲕᲔᲑᲗ, ᲐᲤᲠᲘᲙᲐᲕ!

ᲡᲡᲠ ᲙᲐᲕᲨᲘᲠᲘᲡ ᲣᲛᲐᲦᲚᲔᲡᲘ ᲡᲐᲑᲭᲝᲡ ᲞᲠᲔᲖᲘᲓᲘᲣᲛᲘ ᲓᲐ ᲡᲐᲑᲭᲝᲗᲐ ᲛᲗᲐᲕᲠᲝᲑᲐ ᲣᲚᲝᲪᲐᲕᲔᲜ ᲐᲤᲠᲘᲙᲘᲡ ᲓᲐᲛᲝᲣᲙᲘᲓᲔᲑᲚᲔᲑᲡ

ᲨᲕᲔᲓᲠᲘᲗ ᲓᲘᲓᲘ ᲡᲐᲖᲔᲛᲝᲨᲘ

ᲡᲡᲠ ᲙᲐᲕᲨᲘᲠᲘᲡ ᲓᲦᲔ ᲡᲐᲔᲠᲗᲐᲨᲝᲠᲘᲡᲝ ᲒᲐᲛᲝᲤᲔᲜᲐᲖᲔ

ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲘ, 1966 წლის 24 მაისი.

ᲡᲡᲠ ᲙᲐᲕᲨᲘᲠᲘᲡ ᲣᲛᲐᲦᲚᲔᲡᲘ ᲡᲐᲑᲭᲝᲡ ᲞᲠᲔᲖᲘᲓᲘᲣᲛᲘᲡ ᲛᲝᲬᲕᲔᲕᲘᲗ ᲛᲘᲦᲔᲑᲣᲚᲘ ᲓᲔᲙᲠᲔᲢᲘ

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲡᲡᲠ ᲣᲛᲐᲦᲚᲔᲡᲘ ᲡᲐᲑᲭᲝᲡ ᲞᲠᲔᲖᲘᲓᲘᲣᲛᲘᲡ ᲛᲝᲬᲕᲔᲕᲘᲗ ᲛᲘᲦᲔᲑᲣᲚᲘ ᲓᲔᲙᲠᲔᲢᲘ

30 ხესია 1966 წლის 23 ივნისს ქალაქ თბილისში.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ბ. ᲫᲝᲬᲔᲜᲘᲫᲔ

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ზ. ᲙᲕᲐᲨᲐᲕᲐ

ᲡᲡᲠ ᲙᲐᲕᲨᲘᲠᲘᲡ ᲓᲦᲔ ᲡᲐᲔᲠᲗᲐᲨᲝᲠᲘᲡᲝ ᲒᲐᲛᲝᲤᲔᲜᲐᲖᲔ

ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲘ, 1966 წლის 24 მაისი.

აფრიკის განთავისუფლების დღესთან დაკავშირებით სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა და საბჭოთა მთავრობამ აფრიკის ქვეყნებში საბჭოთა ელჩებისა და გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში სსრ კავშირის წარმომადგენლის საშუალებით მეგობრული მისალოცი წერილი გაუგზავნეს აფრიკის დამოუკიდებელ ქვეყნებს.

მისალოცავ წერილში ნათქვამია:

„საბჭოთა ადამიანები დიდი შემაყოფილებით აღევნებენ თვალს აფრიკის ხალხთა მეცადინეობას, რომ განიმტკიცონ პოლიტიკური და ეკონომიური დამოუკიდებლობა, უზრუნველყონ ტეშმარიტი ეროვნული აღორძინება, და მხურვალედ მიეხალმებიან წარმატებებს, რომლებსაც მათ ამ გზაზე მიაღწევენ.

აფრიკის კონტინენტის ხალხები დაუცხრომლად იბრძვიან დამოუკიდებლობისათვის, თანასწორუფლებიანობისა და ადამიანის უფლებათა პატივისცემისათვის, და ამით თავიანთი წვლილი შეაქვთ კაცობრიობის მშვიდობის, ეროვნული და სოციალური პროგრესის საქმეში. აფრიკის ხალხთა ეს ბრძოლა მშვიდობისმოყვარე ქვეყნებისა და ხალხების სიმპათიასა და მხარდაჭერას იმსახურებს, იგი სიძულვილს უნერგავს იმპერიალისტებს, რასისტებსა და მათს აგენტებს, რომლებსაც უნდათ შეაფერხონ ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის ძლეგამოსილი მსვლელობა. ეჭვი არ არის, რომ თავისუფლებისათვის მებრძოლი ხალხები განამტკიცებენ თავიანთი რიგების დარაზმულობასა და ერთიანობას და საკადრის პასუხს გასცემენ იმპერიალისტურ სახელმწიფოთა ხრიკებს აფრიკის ქვეყნებში.

საბჭოთა კავშირის ხალხები, ისევე როგორც ყოველთვის, სრულ მხარდაჭერას გაუწევენ აფრიკის ხალხთა კეთილშობილურ მისწრაფებას, რომ საკუთრით გაითავისუფლონ თავი, განავითარონ ეკონომიკა, მეცნიერება და კულტურა, გაუმჯობესონ კეთილდღეობა“.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი და საბჭოთა მთავრობა აფრიკის ქვეყნებსა და ხალხებს უსურვებენ კეთილდღეობასა და აყვავებას მტკიცე საყოველთაო მშვიდობის პირობებში.

ᲐᲤᲠᲘᲙᲘᲡ ᲒᲐᲜᲗᲐᲕᲘᲡᲣᲤᲚᲔᲑᲘᲡ ᲓᲦᲔ

ᲡᲐᲖᲔᲘᲛᲝ ᲙᲠᲔᲑᲐ ᲛᲝᲡᲙᲝᲕᲨᲘ

ᲛᲝᲡᲙᲝᲕᲘ, 24 მაისი. (საკდესი). დღეს, გაიმართა ხალხთრაველი კრება, რომელიც მიეძღვნა აფრიკის განთავისუფლების დღეს. კრების მონაწილეებმა — მოსკოველებმა თავიანთი სოლიდარობა გამოუცხადეს იმპერიალიზმისა და კოლონიალიზმის წინააღმდეგ მებრძოლ აფრიკელ ხალხებს.

ლიტერატურთა ცენტრალურ სახლში იყვნენ დედაქალაქის საზოგადოებრიობის წარმომადგენლები, საბჭოთა კავშირში აკრედიტებული აფრიკის სახელმწიფოების დიპლომატიურ წარმომადგენლობათა მეთაურები და სხვები.

კრებაზე მოხსენება გააკეთა სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის მოადგილემ მ. ხოლოვმა.

ᲡᲐᲖᲔᲘᲛᲝ ᲙᲠᲔᲑᲐ ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲨᲘ

24 ᲛᲐᲘᲡᲘᲡ თბილისის საზოგადოებრიობამ აფრიკის განთავისუფლების დღე აღნიშნა საზეიმო კრებით, რომელიც საქართველოს საზღვარგარეთის ქვეყნებთან მეგობრობისა და კულტურული ურთიერთობის საზოგადოების დარბაზში გაიმართა.

კრება გახსნა აზია-აფრიკის ქვეყნებთან სოლიდარობის საქართველოს რესპუბლიკური კომიტეტის თავმჯდომარემ პროფესორმა ვ. გულისაშვილმა.

მოხსენება „საბჭოთა კავშირი და ბრძოლა აფრიკის ერთობისა“ გააკეთა აზია-აფრიკის ქვეყნებთან სოლიდარობის რესპუბლიკური კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილემ პროფესორმა კ. წერეთელმა. მან ილაპარაკა ეროვნული დამოუკიდებლობისა და თავისუფლებისათვის აფრიკელი ხალხის ბრძოლაზე, იმაზე, თუ როგორ ეხმარება და მხარს უჭერს საბჭოთა კავშირი აფრიკის განმათავისუფლებელ მოძრაობას.

კრებაზე გამოსულმა ორატორებმა — თბილისის აბრეშუმსაქსოვი ფაბრიკის მუშამ დ. როსნაძემ, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტის უფროსმა მეცნიერმა თანამშრომელმა შ. კურდღელაშვილმა, უცხო ენათა პედაგოგიური ინსტიტუტის სტუდენტმა მ. ჭყონიამ აღნიშნეს, რომ აფრიკის განთავისუფლების დღე იმპერიალიზმის, კოლონიალიზმისა და ნეოკოლონიალიზმის წინააღმდეგ აფრიკელი ხალხების გმირული ბრძოლის სიმბოლოა.

ერთსულოვნად მიღებულ რეზოლუციაში კრების მონაწილენი სოლიდარობას უცხადებენ აფრიკის სრული განთავისუფლებისათვის მებრძოლ. (საკდესი).

ᲒᲣᲠᲘᲐᲜᲗᲔᲚᲔᲑᲗᲐᲜ...

ᲩᲘᲜᲔᲑᲣᲚᲘ ᲡᲢᲐᲠᲢᲘ

რომელ კოლმეურნეობასა და საბჭოთა მეურნეობასაც უნდა ეწვიო, ყველგან პლანტაციებში მუშაობს დიდი და პატარა. ვრცელ ფართობებზე მწკრივებში ჩამდგარან ადამიანები, რომელთა გაწაფული თითებით იკრიფება ხარისხოვანი ნედლეულის ტონები. ნაგომაში, ზრომაში, ნატანებში, გურიანთაში, კოხეკათში, თხინვალში, მერეთში. გახახლებაში, ჯუმათში, ძიმითში, მელექედურში, ლიხაურში, შემოქმედში, ნასაკირალში, ნარეკაში. და სხვაგან დიდი ლაშქრობაა დაწყებული. ვრცლად გადაშლილ პლანტაციათა ასობით მეჩაიე და სამი ჩაის საკრეფი მანქანა — „საქართველო“ მუშაობს. იგრძნობა ერთსულოვნება, შრომისადმი კომუნისტური დამოკიდებულება.

დილით ადრე პლანტაციაში ვნახეთ გურიანთელთა წინამძღოლი პ. **ბელიკანინიძე.**

— დაძაბული დღეები გვაქვს, — თქვა მან. — მარბალია, სეზონი მოუმზადებელს ვერ მოგვისწრო, მაგრამ ყველა ნაკვეთში საკრეფი ფოთლის მასობრივად შემოსვლა გაორკეცებულ ენერგიას მოითხოვს. რას ვეზამთ. ბუჩქების გამოწვევა მიღებულია. ჩვენც ყველაფერს ვაკეთებთ იმისათვის, რომ ნაზი დუყეები მოუკრეფელი არ დავტოვოთ. წელს ხომ გეგმით ათთვალისწინებული 1.417 ტონის ნაცვლად 1.500 ტონაზე მეტი ხარისხოვანი ჩაის ფოთლის მოკრეფა ვიკისრეთ. უკვე მოკრეფილია სამას ტონაზე მეტი. აციფი მაჩვენებელი გასულ წლებში არ ყოფილა. — რამდენი მექანიზებული რგოლი და ბრიგადა მუშაობს? — შევეკითხეთ თავმჯდომარეს.

— ერთი კომპლექსური ბრიგადა, რომელსაც აგრონომი **შამშე ჩხაიძე** ხელმძღვანელობს, მასში სამი რგოლი. რგოლებს ხელმძღვანელობენ მექანიზატორები **გურამ ანდღულაძე, ოთარ ქავეარაძე** და **ალიმ კვირკველია.** მათი გადაწყვეტილებაა წელს მოკრეფონ 75 ტონაზე მეტი ხარისხოვანი ჩაის ნედლეული.

ჯერჯერობით გადამწყვეტ ძალად მაინც ხელით კრეფა რჩება. ამიტომ თვითეული ბრიგადა, რგოლი, მეჩაიე ცდილობს მოწინავე იყოს. მეცხრე ბრიგადას, რომლის ხელმძღვანელია **თ. კვარაცხელია,** 20 მაისისათვის აპრილივნისის დავალება შესრულებული ჰქონდა 62 პროცენტით. შექება დაიმსახურა ვალიდა ელენტაძ. იგი დღეში 80-100 კილოგრამს კრეფს, მას პირველ დღეებში შეჯიბრებაში გაუსწრო **ნელი შეწირულმა,** რომელსაც მოკრეფილი აქვს 1.000 კილოგრამზე მეტი და იბრძვის რეკორდ ტონა ჩაისათვის.

კრეფის პირველ დღეებში მოწინავეთა დაფას ამშვენებს მეჩაიეები — **ზინა ქათამაძის, ალინა მესაბლიშვილის, გალინა სეფიხკერაძის,** ბრიგადირების — **იოსებ დათუნაიშვილის, ალექსანდრე მალაზონიას, პლატონ მუჯირის, გრიგოლ ქათამაძის, სეფერიან შარაძის** სახელები.

ამ ნაკვეთზე მუშაობს კომკავშირულ-ახალგაზრდული რგოლი! ამ წარწერამ დაგვიანტერესა. იქვე გვითხრეს, რომ ამ რგოლის ხელმძღვანელია **ნუნუ კვაჭანტირაძე.** რგოლში ხუთი ახალგაზრდაა. ყველა სასახელოდ შრომობს. რგოლის წევრი — ხუთიანი ახალგაზრდა დაუსწრებლად სწავლობს საქართველოს სუბტროპიკულ ინსტიტუტში.

პლანტაციების გამრჯე ადამიანებს კოლმეურნეობის ვამგეობა, პარტიული ორგანიზაცია ზრუნავს ეფ. ალეგენ. პლანტაციებში მოწყობილია საველე სასადილოები, ყოველდღიურად აქვთ ცხელი კერძები, გამაგრილებელი წყლები. მოწყობილია ხუთი საბავშვო ბაგა 180 ბავშვისათვის, ხოლო ყველა ბრიგადაში — თავშესაფარი ფარდულები. სოფლის ცენტრში და პლანტაციებში ეჩვენებენ კინოფილმებს.

პლანტაციებში მომუშავეები ყოველ დილით ისმენენ ადგილობრივ რადიოგადაცემას წინა დღის შედეგებზე, დღევანდელი დღის დავალებებზე, ავრეთვე — ვინ დაწინაურდა, ვინ ჩამორჩა. მხატვრული თვითმოქმედი კოლექტივის ვამოსვლას ხელმძღვანელობს რესპუბლიკის დამსახურებული არტისტი **მიხეილ შავიშვილი,** ქორეოგრაფია **ვახტანგ მეგრელიძე.**

კოლმეურნეობაში შემოღებულია ყოველთვიური გარანტირებული ფულადი ანაზღაურება. ყველა ბრიგადა გადასულია შიდასამეურნეო ანგარიშზე. ამან განაპირობა წარმატება. შარშან ცენტნერი ჩაის ნედლეულის წარმოება 48 მანეთი და 20 კაპიკი ჯღებოდა, წელს 45 მანეთი და 20 კაპიკი უნდა დაჯღეს.

გურიანთაში კომუნისტური შრომისა და ცხოვრების ჩარაღდნები ანთია.

ეს ჩინებული სტატია.

ნ. ᲯᲐᲜᲯᲦᲐᲕᲐ.
ბ. ᲩᲮᲐᲘᲫᲔ.

„კომუნისტის“ ხპეც. კორესპონდენტები.

ᲒᲠᲫᲐᲜᲔᲑᲣᲚᲔᲑᲐ

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲡᲡᲠ ᲣᲛᲐᲦᲚᲔᲡᲘ ᲡᲐᲑᲭᲝᲡ ᲞᲠᲔᲖᲘᲓᲘᲣᲛᲘᲡᲐ

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲡᲡᲠ ᲣᲛᲐᲦᲚᲔᲡᲘ ᲡᲐᲑᲭᲝᲡ ᲛᲝᲬᲕᲔᲕᲘᲡ ᲗᲔᲡᲐᲮᲔᲑ

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი ადგენს:

მოწვეულ იქნას საქართველოს სსრ მეექვსე მოწვევის უმაღლესი საბჭოს მერვე სესია 1966 წლის 23 ივნისს ქალაქ თბილისში.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ბ. ᲫᲝᲬᲔᲜᲘᲫᲔ

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ზ. ᲙᲕᲐᲨᲐᲕᲐ

თბილისი, 1966 წლის 24 მაისი.

ᲛᲐᲢᲔᲠᲘᲐᲚᲣᲠᲘ ᲓᲐᲘᲜᲢᲔᲠᲔᲡᲝᲕᲐ — ᲡᲘᲡᲬᲠᲐᲤᲘ ᲡᲐᲛᲡᲐᲮᲣᲠᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ!

ᲙᲝᲚᲛᲔᲣᲠᲜᲔᲗᲐ ᲛᲐᲓᲚᲝᲒᲐ

ᲡᲐᲖᲝᲒᲐᲓᲝᲔᲑᲠᲘᲕᲘ წარმოების განვითარებით კოლმეურნეთა მატერიალური დაინტერესების გადიდება ჩვენს კოლმეურნეებს შრომისათვის აღაფრთოვანებს. პარტიისა და საბჭოთა მთავრობის ეს ღონისძიება საკოლმეურნეო ეკონომიკის შემდგომი განმტკიცებისა და კოლმეურნეთა კეთილდღეობისათვის შეუნელებელი ზრუნვის კიდევ ერთი მკაფიო დადასტურებაა.

ჩვენი სოფლის მეურნეობის წამყვანი დარგი შეეხებოდა. სხვა დიდმნიშვნელოვან ღონისძიებებთან ერთად დიდი ყურადღება ექცევა მატერიალური დაინტერესების პრინციპს. კოლმეურნეს გამომუშავებულ შრომადღეზე ოვეში ერთხელ ვაძლევთ ორ მანეთს, ხოლო წლის ბოლოს ანგარიშს საბოლოოდ ვუსწორებთ. ამან დიდად გაზარდა კოლმეურნეთა დაინტერესება საკოლმეურნეო შრომით. ახლა ჩვენთან უქმარება ვერ ნახავთ. ყველა ხალისით შრომობს და საზღაურსაც კარგს იღებს. შარშან შრომადღის ღირებულება (ფულით და ნატურით) 4 მანეთი და 90 კაპიკი იყო, წელს მეტი იქნება. მადლობა პარტიას, საბჭოთა მთავრობას ჩვენზე ზრუნვისათვის! — ამბობენ ველისციხელი კოლმეურნეები.

Დ. ᲛᲐᲛᲘᲡᲐᲨᲕᲘᲚᲘ,

გურჯაანის რაიონის ველისციხის კოლმეურნეობა „ლენინის ანდერძის“ თავმჯდომარე, სოციალისტური შრომის გმირი.

ᲒᲔᲯᲘᲗᲘ ᲨᲠᲝᲛᲘᲗ ᲕᲣᲙᲐᲡᲣᲮᲔᲒᲗ

ᲒᲣᲚᲓᲐᲡᲐᲛᲘᲗ გავეცანით სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს დადგენილებას „საზოგადოებრივი წარმოების განვითარებით კოლმეურნეთა მატერიალური დაინტერესების გადიდების შესახებ“. ეს ერთხელ კიდევ მეტყველებს იმ ყოველდღიურ ყურადღებაზე. რასაც კოლმეურნეებისადმი იჩენენ მშობლიური კომუნისტური პარტია, საბჭოთა მთავრობა.

კოლმეურნეთა მოთხოვ

◇ დეპუტატობის კანდიდატები

მკლავმოუღლელი

ᲔᲚᲕᲘᲛᲔᲕᲘᲡ ᲬᲣᲒᲐᲜᲝ განთქმულია ჭიათურაში. მისი წიაღი ძველთაგანვე ცნობილი საუკეთესო მარგანეცით. ამ ცხრა ათეული წლის წინათ პირველად სწორედ მღვიმევში დაიწყეს მადნის მოპოვება. მაღარო, რომელიც ახლა მ. ი. კალინინის სახელს ატარებს, ყველაზე უხნესი და რეგოლუციური ტრადიციის მქონეა ჭიათურაში.

აქაურმა მარგანეცმა საკვეყნო სახელი გაუთქვა ჭიათურას. აქაური მაღაროელები პირველნი ჩაებნენ რევოლუციურ მოძრაობაში. პირველი რევოლუციის ბობოქარ დღეებში აქ იმართებოდა დისკუსიები. ვრცელდებოდა მგზნებარე ბოლშევიკური პროკლამაციები. შრომითსა და სახელოვან ტრადიციას არც ახლა არცხვენენ კალინინელები. მათი მაღარო ერთ-ერთი საუკეთესოა საბჭოთა კავშირში. მათ მრავალგზის გაუმარჯვნიათ რესპუბლიკურ თუ საკავშირო შეჯიბრებაში.

ამ მაღაროში დაიწყო შრომითი საქმიანობა სიმონ ღუღუნიშვილმა. იგი შრომისმოყვარეობით გამოირჩეოდა. დრომ თავისი ქნა, და სიმონმა შრომითი ეტაფეტა თავის შვილს ლავრენტის გადასცა. ამ გამრჯე, საქმიანმა და მოწდომებულმა ადამიანმა მამა ასახელა. მაღაროში არ არის პროფესია, რომელსაც ლავრენტი არ ფლობდეს და რომელზეც მას არ ემუშავნოს. ბოლოს საწარმოო უბნის უფროსობიდან პენსიაზე გააცილეს. პატიოსანი და უმეწყვლო შრომით ლავრენტიმ ლენინის, შრომის წითელი დროშის ორდენები, ორი მედალი დაიმსახურა, კარგი ოჯახი შექმნა. იგი მტკიცე კომუნისტია.

ხალიფაურის რვაწლიანი სკოლის დამთავრების შემდეგ წინაპართა კვალს გაჰყვა ლავრენტის უფროსი ვაჟიშვილი მიხეილი. მან მაღაროში ელექტროზინკლად დაიწყო მუშაობა. დაუზარელი, ენერგიული და წესიერი ჭაბუკი იყო მიხეილი. მან ამ თვისებებით მაღაროელთა გულწრფელი სიყვარული დაიმსახურა. მაღაროელებს თითქოს დაენანათ, როცა 1941 წელს ცხრამეტი წლის მიხეილი არმიაში გააცილეს.

დიდმა სამამულო ომმა მიხეილს შორეულ აღმოსავლეთში მოუსწრო. ჭიათურელი ახალგაზრდა საბრძოლო-პოლიტიკური მომზადების ფრიადოსანი იყო და მოსკოვის საარტილერიო სკოლაში გაგზავნეს. იგი რამდენიმე თვეში ეუფლება მრეხსანე საარტილერიო ტექნიკას. მიხეილის საარტილერიო ათეული იბრძოდა მოსკოვის მისადგომებთან. მან მკაცრი და სახელოვანი ბრძოლები გადიკანა უურაინის მიწაწყალზე. მისი არტილერისტები გერმანელ დამპყრობლებს მისდევდნენ და სპობდნენ მათს ტერიტორიაზე...

გერმანიის ფაშიზმზე საბჭოთა ხალხის ბრწყინვალე გამარჯვების შემდეგ მ. ღუღუნიშვილის საარტილერიო ათეული მამაცურად იბრძვის იაპონელი იმპერიალისტების წინააღმდეგ. თავდადებული და შეუპოვარი ბრძოლისათვის მ. ღუღუნიშვილი დაჯილდოებულია დიდი სამამულო ომის მეორე ხარისხისა და წითელი ვარსკვლავის ორდენებით, ოთხი მედლით. იგი გვარდიელია. ბრძოლის ველზე შევიდა კომუნისტურ პარტიაში.

სახელოვანი მებრძოლი ჭიათურაში 1946 წლის ბოლოს დაბრუნდა, ხოლო 1947 წლის იანვრიდან კვლავ მშობლიურ მაღაროში დაიწყო მუშაობა. ორი ათეული წელია, რაც მიხეილი მარგანეცის მნგრეველ-ამწეზელია, ვაჟკაცურად ებრძვის მაგარ ფენებს, სამშობლოს აძლევს მაღალხარისხოვან მადანს. მარტო შვიდწლეულში მიხეილმა წიაღს გამოსტაცა შვიდათასამადე ტონა ზეგეგმითი მარგანეცი. მას ერთ-ერთ პირველს მიეკუთვნა კომუნისტური შრომის დამკვრელის წოდება.

გამრჯე, კეთილსინდისიერი, გულმართალი, თავაზიანი, საქმისა და მეგობრობის მოყვარული — ასე ახასიათებენ მიხეილს. იგი მაღაროელის ყველა პროფესიას ფლობს და თავის მდიდარ საწარმოო გამოცდილებას ხალისით გადასცემს ახალბედა მაღაროელებს. უმწიკვლო შრომისათვის მ. ღუღუნიშვილს მიღებული აქვს „მეშახტის დიდების“ მეორე და მესამე ხარისხის სამკერდე ნიშანი, ხოლო სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1966 წლის 9 აპრილის ბრძანებულებით იგი დაჯილდოებულია შრომის წითელი დროშის ორდენით.

ᲛᲘᲮᲔᲘᲚᲘᲡ არა მარტო სანგრევში მოუღლელი შრომით გამოიჩინა თავი, იგი საზოგადოებრივი მუშაკიც არის. არჩეულია მაღაროს პარტბიუროს წევრად, მრავალგზის იყო საქართველოს კპ ჭიათურის ქალაქკომის წევრი, საქალაქო საბჭოს დეპუტატი.

ნაყოფიერი და შეუპოვარი შრომით მ. ღუღუნიშვილი კარგად ცხოვრობს. მისმა ორმა შვილმა საშუალო სკოლა დაამთავრა. ისინი მუშაობენ და უმაღლეს სასწავლებელში შესასვლელად ემზადებიან. ორი ბავშვი საშუალო სკოლაში სწავლობს, ხოლო მეხუთე პატარაა...

წინასაარჩევნო კრებაზე მაღაროელთა კლუბში ტევა არ იყო. სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს ეროვნებათა საბჭოს ჭიათურის № 192 საარჩევნო okრუგში დეპუტატობის კანდიდატს ასახელებდნენ. სიტყვა აიღო წარჩინებულმა მაღაროელმა ბ. ქველაძემ.

— საბჭოთა პარლამენტში რჩეულებს ასახელებენ, — თქვა მან. — ასეთად მიმაჩნია ჩვენი მაღაროს მკლავმოუღლელი მნგრეველი, კეთილსინდისიერი მშრომელი, სამამულო ომის ლვაწლმოსილი მონაწილე მიხეილ ლავრენტის-ძე ღუღუნიშვილი... ეს სიტყვები დამსწრეთა მჭუხარე და ერთსულოვანმა ტაშმა დაფარა.

— დეპუტატობის კანდიდატად სწორედ ასეთი ადამიანი უნდა შეირჩესო,— დაადასტურეს თავიანთ სიტყვებში მაღაროელებმა დ. ბრეგვაძემ, ბ. ქარქაშაძემ, შ. მაჭარაშვილმა...

წინასაარჩევნო კრებებსა და თათბირებზე სხვაგანაც ერთსულოვნად იწონებდნენ და მხარს უჭერდნენ დეპუტატობის ღირსეულ კანდიდატს. ხალხის დიდმა ნდობა-დაფასებამ ფრთები შეასხა მიხეილს, ახალი შრომითი მამაცობისათვის შთაგონა. იგი მარგანეცის ნგრევის ნამდვილი ოსტატია, ცვლაში 12 ტონის ნაცვლად 20-25 ტონა მარგანეცს ანგრევს და ტვირთავს. დეპუტატობის კანდიდატმა საპირველმაისოდ ახალი ხუთწლედის პირველი ხუთი თვის დავალება შეასრულა. მან შუშური, გაუტეხელი პირობა დადო, რომ პირად ხუთწლიან გეგმას ოთხ წელზე ადრე შეასრულებს. ეს ახეც იქნება.

ჭიათურელი, ხაჩერელი და ორჯონიკიძელი მშრომელები უეჭველია ერთსულოვნად მისცემენ ხმას შრომისა და ბრძოლის ხახელოვან ვაჟკაცს, მაღაროელთა დინასტიის ღირსეულ განგრძობს მიხეილ ღუღუნიშვილს.

პ. ᲭᲘᲝᲙᲐᲫᲔ,
„კომუნისტის“ სპ. კორ.

* * *

ᲡᲣᲠᲐᲗᲘᲗ: სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატი მ. ღუღუნიშვილი მეხუთეთაბ.
ფოტო ვ. ᲑᲐᲠᲐᲗᲐᲨᲕᲘᲚᲘᲡᲐ.

სკკპ XXIII ყრილობის გადაწყვეტილებანი — ცხოვრებაში

ᲔᲪᲜᲝᲒᲘᲐᲜᲘ, ᲮᲐᲯᲕᲚᲘᲡᲗᲘᲡ

ᲐᲛᲑᲠᲝᲚᲐᲣᲠᲘ. (სპეც. კორ.). რაიონის კომუნისტები, მშრომელები სწავლობენ სკკპ XXIII ყრილობის გადაწყვეტილებებს. პარტიის რაიკომში გაიმართა პროპაგანდისტთა ორდღიანი სემინარი, ბიბლიოთეკებსა და კლუბებში მოწყობილია ყრილობის მასალების გამოფენები, იმართება საუბრები, მოხსენებები.

ხიდიკრის კოლმეურნეობის მხვნელ-მთესველებსა და მევენახეებს ყრილობაზე მიღებულ შეთანხმებილებებზე ესაუბრა სკკპ XXIII ყრილობის დელეგატი, მოწინავე მევენახე კ. კერვალიშვილი.

პროპაგანდისტების, ლექტორების წინაშე სკკპ XXIII ყრილობის შედეგებისა და რაიონის ახალი ხუთწლიანი გეგმის შესახებ მოხსენებით გამოვიდა საქართველოს კპ ამბროლაურის რაიკომის პირველი მდივანი მ. ბიბილაშვილი.

პარტიის რაიკომის პოლიტიკური განათლების კაბინეტი პირველადი პარტიული ორგანიზაციების მდივნების, ლექტორების, მომხსენებლების, პროპაგანდისტებისათვის აწყობს ლექციების ციკლს, კონსულტაციებს.

ᲗᲔᲝᲠᲘᲣᲚᲘ ᲙᲝᲜᲤᲔᲠᲔᲜᲪᲘᲐ

ᲝᲜᲘ, 23 მაისი. (საქდესი). პარტიის ონის რაიკომში გაიმართა თეორიული კონფერენცია, რომელიც მიეძღვნა სკკპ XXIII ყრილობის გადაწყვეტილებათა პროპაგანდას.

თემაზე „სკკპ XXIII ყრილობის ისტორიული მხიშვნელობა“ მოხსენება გააკეთა სოფელ პიპილეთის საშუალო სკოლის მასწავლებელმა ო. ᲩᲣᲠᲪᲘᲙᲘᲫᲔ, თემაზე „პარტიის ბრძოლა კომუნიზმის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის შექმნისათვის“ — ავტოსატრანსპორტო კანტორის მთავარმა ინჟინერმა ა. ᲑᲔᲠᲣᲩᲘᲫᲔ. „სკკპ ბრძოლა სოციალიზმის მსოფლიო სისტემის ერთიანობისა და ძლიერების განსამტკიცებლად“ — სოფელ უწერის საშუალო სკოლის სასწავლო ნაწილის გამგემ ლ. ᲛᲔᲢᲠᲔᲕᲔᲚᲘ და „ხალხის ცხოვრების მატერიალური დონის ამაღლება, მეცნიერებისა და კულტურის განვითარება“ — ინჟინერმა ვ. ᲑᲘᲓᲖᲘᲫᲔ.

თეორიული კონფერენციის მუშაობა შეაჯამა პარტიის ონის რაიკომის მეორე მდივანმა გ. ᲩᲐᲒᲔᲚᲐᲨᲕᲘᲚᲘᲡ.

სასოფლო ცხოვრება

მზარდ წინააღმდეგობათა ვითარებაში

ᲠᲝᲛᲘ, 23 მაისი. საკდესის კორესპონდენტი ვ. ᲒᲝᲜᲩᲐᲠᲝᲕᲘ გვატყობინებს:

ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების არჩევნები, რომელიც 12 ივნისს გაიმართება იტალიის ზოგიერთ რაიონში, რთულ პოლიტიკურ და ეკონომიურ ვითარებაში მოეწყობა, რომლის სიმძიმესაც განსაკუთრებით ძლიერ გრძნობენ რესპუბლიკის სამხრეთი ოლქები, განაცხადა ქალაქ ბარიში გამართულ მიტინგზე იტალიის კომუნისტური პარტიის გენერალურმა მდივანმა ლუიჯი ლონგომ. მემარცხენე ცენტრისტულმა მთავრობამ, თქვა მან, არ შეასრულა თავისი დაპირებანი ამ ოლქების წამორჩენის ლიკვიდაციის შესახებ.

ლონგომ აღნიშნა, რომ მწვავდება წინააღმდეგობანი მემარცხენე ცენტრისტული კოალიციის პარტიებს შორის და ხაზი გაუსვა, რომ იტალიის ახლანდელი მთავრობის მერყეობა ადასტურებს სულ უფრო აშკარა ხდება. კონსერვატიული ძალები, რომელებიც ქრისტიანულ-დემოკრატიულ პარტიას ხელმძღვანელობენ, არ მალავენ თავიანთ განზრახვას კვლავ მარჯვნივ გადახარონ მთავრობის პოლიტიკა და „კონფინდუსტრიის“ (იტალიელ მრეწველთა კონფედერაცია) ხელმძღვანელებთან ერთად მოქმედებენ.

ლონგო შეეხო საერთაშორისო პრობლემებს და სკანდალური უწოდა „გაგების“ პოზიციას, რომელიც იტალიის მთავრობას უკავია ამერიკის შეერთებულ შტატების აგრესიული საომიტენმო პოლიტიკის მიმართ. ლონგომ „მტკნარი სიცრუე“ უწოდა მემარცხენე ცენტრისტული კოალიციის ზოგიერთი ლიდერის მტკიცებას, თითქოს შეერთებული შტატები ვიეტნამში იტალიის თავისუფლებასაც იცავდნენ.

იტალიის კომპარტიის გენერალური მდივანი შეეხო ევროპის მდგომარეობას და აღნიშნა, რომ იტალიამ წვლილი უნდა შეიტანოს კოლექტიური უშიშროების სისტემის მექმნაში.

თავისი სიტყვის დასასრულს ლონგომ მოუწოდა ამომრჩევლებს 12 ივნისს მა მისცენ იტალიის კომპარტიის კანდიდატებს და იმედი გამოთქვა, რომ წინასაარჩევნო კამპანიის პროცესში იტალიის კომუნისტური პარტია კიდევ უფრო ძლიერი და გავლენიანი გახდება.

ᲐᲛᲖᲐᲓᲔᲑᲔᲜ ᲓᲐᲛᲡᲯᲔᲚᲔᲑᲡ

ᲜᲘᲣ-ᲘᲝᲠᲙᲘ, 24 მაისი. საკდესის კორესპონდენტი ო. ᲐᲜᲘᲩᲙᲘᲜᲘ იუწყება:

ლუზიანის შტატს არაფერი არა აქვს საერთო სამხრეთ ვიეტნამთან. მხოლოდ ჰავა თუ მოგაგონებს ზოგჯერ ვიეტნამს: ისეთივე სიცხე და ტენიანობაა აქაც. ქალაქ ფორტ-პოლკის მახლობლად, ლუზიანის ცენტრში, ხალხისაგან მოშორებით ამა წლის დამდეგს 150 ათას აკრ ტერიტორიაზე შეიქმნა „პატარა ვიეტნამი“. მავთულხლართების მიღმა შეიქმნა ხელოვნური ჯუნგლები. ტროპიკული ჰაობი, აშენდა „ვიეტნამური სოფლები“, გაითხარა სანგრები, ტრანშეები. აქ დაიდგა „ნაღმები და მახეები“. ფორტ-პოლკის მახლობლად მთლიანად იმიტირებულია სამხრეთვიეტნამელ პარტიზანთა „ტაიაური გამაგრებული რაიონი“. აქ სპეციალურ წვრთნას გადიან ამერიკელი ჯარისკაცები ვიეტნამის ომში გაგზავნის წინ. დიდხანს ამერიკის შეერთებულ შტატებში ბეგრმა ირავინ იცოდა პენტაგონის ამ უჩვეულო სამხედრო პოლიგონის არსებობის ამბავი. გუშინ ვიეტნამის ომისათვის ამერიკელ ჯარისკაცთა მომზადების ცნობები პრესაში დაიბეჭდა. ჟურნალ „ი. ს. ნიუს ენდ უორლდ რიპორტმა“ დაბეჭდა თავისი ფოტოპოლკელი კორესპონდენტის პატარა ნაამბობი, რომელსაც დართული აქვს ფოტოსურათები. იგი აღწერს ამერიკელ დამსჯელთა მომზადებას.

ყოველ კვირაში ამთავრებს სპეციალური სწავლის ვადას, რაც ცხრა კვირას გრძელდება, ჯარისკაცთა ასეული — დაახლოებით 220 კაცი. იანვრიდან ამ ბანაკში მომზადების სრული კურსი გაიარა 3.500-ზე მეტმა ამერიკელმა ჯარისკაცმა. ამერიკელ ჯარისკაცებს ამზადებენ ვიეტნამის ომის ვეტერანები— ოფიცრები და ჯარის უმცროს მეთაურთა შემადგენლობა, დღეიდან ეს ამერიკელ ჯარისკაცებში ჩარეულ ადამიანებს ეუბნებიან, — თქვა ერთ-ერთ ოფიცერმა. — ეს ადამიანები ომის ველზე ბევრ ბოროტებას ხედავენ.

ბრძანებულება

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის, მეცნიერებისა და კულტურის მუშაკების სსრკ ორდენებითა და მედლებით დაჯილდოებისა „მედლით „შრომითი წარჩინებისათვის“

(გაგრძელება)

დანელია ბოჩია დავითის-ძე — „საქფოტექნიკის“ გეგეკკორის რაიონული ყოფილების მთავარი ინჟინერი.

დანელია გიგლა დომენტის-ძე — მაჩაძის რაიონის ლაითურის ჩაის საბჭოთა მეურნეობის ბრიგადირი.

დანელია ქეთევან მათეს ასული — ოზურგოლის პარსაშრობის დირექტორი.

დანელია კირილე სტეფანეს-ძე — გეგეკორის მეთესლეობის სახელმწიფო სანერგეს უფროსი.

დანელია მირიან კონსტანტინეს-ძე — საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტროს სახანძრო დაცვის უფროსი ინსპექტორი.

დანელია სოლომონ ნიკოლოზის-ძე — გეგეკკორის რაიონის ლენინის სახელობის კოლმეურნეობის მერგოლური.

დანელიანი ჰაიკ არკადის-ძე — საქართველოს სსრ სახალხო კონტროლის კომიტეტის ინსპექტორი.

დანელენკო პეტრე ნიკიტას-ძე — თბილისის ავიჯის ექსპერიმენტული ფაბრიკის დუოგალი.

დარახელია ალექსანდრა გერასიმეს ასული — ზუგდიდის რაიონის ლენინის სახელობის კოლმეურნეობის კოლმეურნეობა.

დარახელია ოლღა მიხეილის ასული — ზუგდიდის რაიონის ლენინის სახელობის კოლმეურნეობის კოლმეურნეობა.

დარბინიანი რობა არაქელის ასული — ფოთის ნავსადგურის მეკავშირეობის სახელობის ლაითურის ჩაის საბჭოთა მეურნეობის ბრიგადირი.

დარჯანია ვენერა რემაზ ასული — გეგეკორი რაიონის ვეფიოკარის ჩაის საბჭოთა მეურნეობის მუშა.

დარჯანია შალვა ელიზბარის-ძე — საფოლო-სამეურნეო ტექნიკის სახელმწიფო სპეციალური საკონსტრუქტორო ბიუროს განყოფილების უფროსის მოადგილე.

დარჯანია შერა შალვას ასული — გეგეკორის რაიონის ვეფიოკარის ჩაის საბჭოთა მეურნეობის მუშა.

დარსველიძე გიორგი ილიას-ძე — ბალგვირამბშენის გამყვანი.

დარსაძე გიორგი ალექსანდრეს-ძე — ფოთის ნავსადგურის მემაწე.

დარსალია ვეფერა ალექსის ასული — ონორწყუს რაიონის მარჯვის სახელობის კოლმეურნეობის კოლმეურნე.

დარჩიაშვილი გიორგი ილიას-ძე — ზუგდიდის რაიონის კოლმეურნეობა „ენინის ანდრძის“ კოლმეურნე.

დარჩიაშვილი ციურ ილიას-ძე — თეკოვის რაიონის სეტყვასთან ბრძოლის საწინააღმდეგო ჯგუფის უფროსი.

დარჩია ნინო დომიდის ასული — მაჩაძის რაიონის კოლმეურნეობა „გენინსკის“ კოლმეურნე.

დარჩია პეტრე გიორგის-ძე — მაჩაძის რაიონის ნასაკირალის ჩაის საბჭოთა მეურნეობის განყოფილების მმართველი.

დარჩია შალვა ლავრენტის-ძე — ოქტომბერი — „საქართველოს ჩაის“ მთავარი ინჟინერი.

დათიაშვილი ვახტანგ ვასილის-ძე — ოზურგეთის რაიონის კისისხევის მეკენაფეობის საბჭოთა მეურნეობის ბრიგადირი.

დათუაშვილი გენო დავითის-ძე — მაჩაძის კოლმეურნეობის ორჯონიკიძის სახელობის კოლმეურნეობის კოლმეურნე.

დათუკაშვილი დავით სპასის-ძე — თეკოვის რაიონის ფიფილეთის ფაბრიკის ინსპექტორი.

დათუკაშვილი ელენე მიხეილის ასული — ზესტაფონის ფერროშენადნობთა ქარხნის ინჟინერ-ტექნიკოსი.

დათუკაშვილი ალექსანდრა ბესარიონის ასული — ზესტაფონის ფერროშენადნობთა ქარხნის ბუღალტერი.

ვარაბანია ეფემია ალექსანდრეს ასული — ბოლნისის მეკენაფეობის საბჭოთა მეურნეობის ბრიგადირი.

ვარსანია ბორის ბესარიონის-ძე — ბოლნისის მეკენაფეობის საბჭოთა მეურნეობის ბრიგადირი.

ვარსანია ბორის ბესარიონის-ძე — ბოლნისის მეკენაფეობის საბჭოთა მეურნეობის ბრიგადირი.

ვარსანია ბესიკ

ქართული მუსიკა მეგობრებს იძენს

ანდრე ჟოლივე სტუმრად ქართველ მუსიკოსებთან

ქართული პროფესიული მუსიკა ამ ბოლო ხანს სულ უფრო და უფრო მეტ მსმენელს იზიდავს. მისი პოპულარიზაციისა და პროპაგანდის საქმეში ხაპატიო როლს ასრულებს საქართველოს კომპოზიტორთა კავშირი. გახშირდა მუსიკის კვირეულები, ფესტივალები. მჭიდრო კონტაქტია ქართველ და უცხოელ კომპოზიტორებს შორის.

ამას წინათ ბულგარეთში ქართული კამერული მუსიკის კვირეული გაიმართა. ქართველ კომპოზიტორთა დიდი ჯგუფი ეწვია ბულგარეთს და თვალნათლივ დაინახა, თუ როგორ გაიზარდა ინტერესი ქართული მუსიკისადმი.

ივნისში ლიტვაში ქართული მუსიკის საღამოები გაიმართება.

გარდა ამისა კომპოზიტორთა კავშირი უკვე შეუთანხმდა ჩეხოსლოვაკიელ კოლეგებს პრაღასა და ბრატისლავაში ქართული მუსიკის კვირეულის გამართვის შესახებ.

ქართული მუსიკით დაინტერესდნენ საფრანგეთის მუსიკალური ჟურნალის „მუზიკა დისკოს“ რედაქტორი როსტისლავ გოფმანი და საფრანგეთის რადიოს მუსიკალურ გადაცემათა რედაქტორი გი ერისმანი.

როსტისლავ გოფმანმა საქართველოში ყოფნის შემდეგ საფრანგეთში გამოაქვეყნა ვრცელი წერილი. მასში დახასიათებულია ქართული მუსიკა და ქართველი კომპოზიტორები. ალბათ ამის გამოძახილია, რომ საფრანგეთში ძლიერ დაინტერესდნენ ქართული მუსიკით. ამ თვის ბოლოს საფრანგეთის რადიო მოაწყობს სამსაათიან გადაცემას, რომელიც მთლიანად ქართულ მუსიკას მიეძღვნება. სწორედ ამ გადაცემის უკეთ მოწყობისათვის მიიწვიეს საფრანგეთში საბჭოთა კავშირის სახალხო არტისტი, საქართველოს კომპოზიტორთა კავშირის თავმჯდომარე კომპოზიტორი ა. მაჭავარიანი.

სურათზე: ანდრე ჟოლივე (მარჯვნიდან პირველი) ქართველ კოლეგებთან ერთად ათვალიერებს სვეტიცხოველის ტაძარს.

საბჭოთა კავშირის კომპოზიტორთა კავშირის მოწვევით მოსკოვში სტუმრად იმყოფებოდა საფრანგეთის ერთ-ერთი უველაზე გამოჩენილი კომპოზიტორი ანდრე ჟოლივე.

მოსკოვში ანდრე ჟოლივემ საავტორო კონცერტი გამართა. მრავალფეროვანია ამ კომპოზიტორის შემოქმედება. სიმფონიები, კანტატები, კონცერტები ფორტეპიანოსათვის, ვიოლინოსათვის, ჩელოსა და არფისათვის, აფრიკის ხალხთა საცეკვაოები — აი იმ ნაწარმოებთა არასრული სია, რომლებმაც ანდრე ჟოლივეს პოპულარობა მოუხვეჭა საფრანგეთში და საზღვარგარეთაც.

მოსკოვში გამართული საავტორო კონცერტის შემდეგ ფრანგმა კომპოზიტორმა საქართველოში ჩამოსვლის სურვილი გამოთქვა.

საქართველოს კომპოზიტორთა კავშირის სამდივნომ კავშირის დარბაზში შეხვედრა მოუწყო სტუმარს.

ანდრე ჟოლივემ მოისმინა შ. მშველიძის, ა. ბალანჩივაძის, ა. მაჭავარიანის, ო. თაქთაქიშვილის, ს. ცინცაძის, დ. თორაძის, ს. ნასიძის, რ. ლაღიძის, ნ. გაბუნიას, ა. შავერზაშვილის, ბ. კვერნაძის, გ. უანჩელის და სხვა კომპოზიტორთა ნაწარმოებები, აგრეთვე ხალხური მრავალხმიანი სიმღერები, რომელმაც მისივე თქმით, წარუშლელი შთაბეჭდილება დატოვა მასზე.

ფრანგმა კომპოზიტორმა ანდრე ჟოლივემ იმოგზაურა საქართველოში, მოინახულა ისტორიული ადგილები, გაეცნო ქართული ხუროთმოძღვრების საუკეთესო ძეგლებს.

ზ. რცხილაძე.

ᲐᲮᲐᲚᲘ ᲐᲕᲢᲝᲛᲝᲑᲘᲚᲔᲑᲘ

ᲪᲜᲝᲑᲔᲑᲘ — ᲤᲐᲥᲢᲔᲑᲘ

ᲠᲣᲡᲗᲐᲕᲔᲚᲝᲚᲝᲒᲔᲑᲘ ᲛᲔᲡᲮᲔᲗᲨᲘ

რუსთაველისადმი მიძღვნილი სამეცნიერო სესია

ახალციხე. (საკ. კორ.). საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის შოთა რუსთაველის სახელობის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტმა აქ გამართა პირველი გამსვლელი სამეცნიერო სესია, მიძღვნილი შოთა რუსთაველის იუბილესადმი.

სესია გახსნა საქართველოს კომპარტიის ახალციხის რაიკომის პირველმა მდივანმა შ. ჯრძელიშვილმა. შესავალი სიტყვით გამოვიდა ინსტიტუტის დირექტორის მოადგილე გ. გგერდწითელი.

რუსთაველის ბიოგრაფიის საკითხებზე გამოვიდა ინსტიტუტის უფროსი მეცნიერი თანამშრომელი ს. ცაიშვილი. სესიამ მოისმინა ავრეთვე მოხსენებები „რუსთაველის პოეზია და მისი მსოფლიო მნიშვნელობა“, „ვეფხისტყაოსნის ხალხური წყაროები“, „რუსთაველის ესთეტიკური შეხედულებები“, „რუსთაველი და თამარ მეფე“. სესიის მუშაობაში მონაწილეობდნენ პროფესორები ალ. ბარამიძე, მ. ჩიქოვანი და მ. დუდუჩავა, დოცენტი ი. მაისურაძე, ისტორიის მეცნიერებათა კანდიდატი გ. გაფრინდაშვილი და სხვები.

გამსვლელი სამეცნიერო სესიები გაიმართა აგრეთვე ადიგენისა და ასპინძის რაიონებში.

შ. მაისურაძე.

„კომუნისტის“ საკ. კორ.

„ᲓᲐᲘᲡᲘ“ ᲡᲝᲮᲣᲛᲨᲘ

სოხუმი. (საკ. კორ.). დ. არაყიშვილის სახელობის მუსიკალურ სასწავლებელთან ახლახან შექმნილმა საოპერო სტუდიამ წარმოადგინა დიდი ქართველი კომპოზიტორის ზაქარია ფალიაშვილის ოპერა „დაისის“ მეორე მოქმედება. მთავარ პარტიებს ასრულებდნენ ე. ბებურიდი (მარო), ა. არძინება (მალხაზი), ვ. ალანია (ცაბაზო), გ. ჯაჭვლიანი (ცანგალა).

„ᲐᲓᲛᲘᲠᲐᲚ ᲜᲐᲮᲘᲛᲝᲕᲘᲡ“ ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲘ ᲠᲔᲘᲡᲘ

სოხუმი. (საკ. კორ.). ამას წინათ სოხუმის ნავსადგურში პირველი ხაზაფხულო რეისი ჩამოვიდა მცურავი დანაყენებელი სახლი-ხომალდი „ადმირალი ნახიმოვი“.

„ადმირალ ნახიმოვის“ გემბანზე იმყოფება ჩვენი ქვეყნის სხვადასხვა კუთხის ასობით მეზრომელი.

* * *

სურათზე: მცურავი დასასვენებელი სახლი-ხომალდი „ადმირალი ნახიმოვი“ სოხუმის ნავსადგურში.

ფოტო მ. ტარასოვისა.

„ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲐᲒᲘᲢᲐᲢᲝᲠᲘ“ № 10

გამოვიდა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პროპაგანდისა და აგიტაციის განყოფილების ჟურნალ „საქართველოს აგიტატორის“ მორიგი, მეათე ნომერი.

ᲨᲔᲛᲗᲮᲕᲔᲕᲐ

ᲡᲘᲪᲝᲪᲮᲚᲔ ᲒᲐᲓᲐᲐᲠᲩᲘᲜᲐ

ყოველ ათ წუთში შეაზანზარებს ხოლმე დაბა ჯვარის მდგამოებს ძლიერი აფეთქება — აქ შენდება მსოფლიოში უმაღლესი კაშხალი. აქამდე მას სძიძრავდა ყველს უყრიან, გაჰყავთ გვირაბები, „ზეგები...

რამდენიმე დღის წინათ ერთ-ერთი ძლიერი აფეთქების შედეგად მდინარე მაგანას ხეობაში ჩამოწვა უზარმაზარი ქლდე, რომელმაც გადახიდა მდინარე და შექმნა ხელოვნური ტბა. საღამო ხანს სოფელ ჭალიდან მომავალი მოხუცი ქალი მდინარეში ჩავარდა. ირგვლივ არავინ ჩანდა. მდინარის ტალღამ წაიყვანა იგი, ამ დროს მან იგრძნო, რომ ვიღაცის ძლიერმა ხელმა აიტაცა.

ეს იყო ჯვარის მცხოვრები ვალერი ფიფია.

ვალერი ფიფიას კეთილშობილურმა საქციელმა სოფლის მაღლობა დაიმსახურა.

ზ. ფიფია.

ᲐᲒᲠᲝᲜᲝᲛᲘ ᲘᲪᲐᲕᲡ ᲓᲘᲡᲔᲠᲢᲐᲪᲘᲐᲡ

ახმეტა. (საკ. კორ.). ახმეტის მეგვინახეობის საბჭოთა მეურნეობის ვაზის სანერგე ვენახების ფართობის ზრდის მძლავრ ბაზად გადაიქცა. აქ ნამყენის გახარების პროცენტი წლითიწლობით იზრდება. შარშან გეგმით გათვალისწინებული 446 ათასი ცალის ნაცვლად 867 ათასი ცალი საუკეთესო ხარისხის ნამყენი ვაზი მიიღეს. დაკვალება შესრულებულ იქნა 78,2 პროცენტით.

ეს მაშინ, როცა ჩვენი რესპუბლიკის საბჭოთა მეურნეობისა და კოლმეურნეობების სანერგეებში ნამყენი ვაზის გახარების პროცენტი 50-55 პროცენტს აღემატება.

ამ წარმატების ორგანიზატორია მეურნეობის მთავარი აგრონომი თ. შაშიაშვილი, რომელმაც ნამყენი ვაზის მოვლა-პატრონობის პროგრესული აგროტექნიკა შეიმუშავა. ამ საქმეს აგრონომმა ექვსი წელიწადი მოანდომა.

ახმეტაში გაიმართა საქართველოს სსრ შრომის წითელი დროშის ორდენოსანი სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის სამეცნიერო საბჭოს გამსვლელი სხდომა, მას ხელმძღვანელობდა ინსტიტუტის დირექტორი, პროფესორი ი. ნარეშვილი. განიხილეს აგრონომი შაშიაშვილის ნაშრომი ნამყენი ვაზის აგროტექნიკის საკითხებზე.

ოფიციალურმა ოპონენტებმა პროფესორმა ა. კობერიძემ და დოცენტმა მ. გადახბაძემ, აგრეთვე პროფესორებმა სარიშვილმა, ტალახაძემ, ბენაღარიშვილმა, ქანთარიამ მაღალი შეფასება მისცეს თ. შაშიაშვილის სადისერტაციო ნაშრომს. მეურნეობის აგრონომი სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა კანდიდატი გახდა.

ᲚᲐᲑᲐᲠᲘᲘᲡ ᲑᲘᲚᲔᲗᲘᲗ

ᲥᲣᲗᲐᲘᲡᲘ. (საკ. კორ.). ს. ორჯონიკიძის სახელობის საავტომობილო ქარხნის ხარატმა კ. დათიაშვილმა ქალაქის ცენტრალურ შემნახველ სალაროში წარადგინა საქართველოს სსრ ფულისა და ნივთების ლატარიის 1966 წლის მეოთხე გამოშვების 11113 სერიის № 077 ბილეთი, რომელსაც მოგებად ხვდა მსუბუქი ავტომანქანა „მოსკვიჩი“.

ეს უკვე მეორე ქუდიანელი მოქალაქეა, რომელმაც ლატარიის ამ ტირაჟში „მოსკვიჩი“ მოიგო.

ᲐᲮᲐᲚᲘ ᲐᲕᲢᲝᲛᲝᲑᲘᲚᲔᲑᲘ

ელეგანტური „მოსკვიჩი-408“, რომელიც ცოტა ხნის წინათ ანდამატივით იზიდავდა ხალხს, ახლა ჩვენს ქალაქებსა და მუშათა ახალშენებში ჩვეულებრივი მოვლენა გახდა. მძღოლები და მექანიკოსები შეეჩვივნენ მეორე მოსკოვურ ავტომობილსაც — სატვირთო ავტომანქანას ზილ-130, რომელიც ჩვენი ქვეყნის გზებზე შარშან გამოჩნდა პირველად. არც თუ ისე დიდი ხანია ახალი მოდელების მანქანების წარმოება დაიწყეს გორკის, მინსკის, მიასისა და ჟოდინოს ქარხნებმა, რომელიც ორმოცდაათი კილომეტრითაა მოშორებული ბელორუსიის დედაქალაქს.

ასე დაიწყო ხუთწლედი ჩვენმა საავტომობილო მრეწველობამ. ჩვენი ქვეყნის ეკონომიური განვითარების ამ ახალ ეტაპზე საბჭოთა ავტომობილმშენებლები როგორც ამბობენ იუბილარები იქნებიან. ჯერ ერთი მიმდინარე წელს აღინიშნება საბჭოთა ორდენოსანი ქარხანა-გიგანტის— ზილის ორმოცდაათი წლისთავი. სწორედ ამ ქარხნის საამქროებში გაჩნდა პირველი საბჭოთა ავტომობილი „ამო“. მეორე ის, რომ ხუთწლედში მანქანათმშენებლებმა სატვირთო ავტომანქანების წარმოება უნდა გააღიდონ დაახლოებით ერთნახევარჯერ, მსუბუქი ავტომობილებისა — ოთხჯერ.

ეს პერსპექტივა ცხადია არა მარტო გვასარებს, არამედ ბევრ რამესაც გვაფიქრებს. ყველა საავტომობილო ქარხანაში ფართოდ გაიშალა კაპიტალური მშენებლობა, ბევრი მოქმედი საამქროს რეკონსტრუქცია.

რეკონსტრუქციასთან დაკავშირებით 125 მილიონი მანეთის სამშენებლო და სამონტაჟო სამუშაოები უნდა შესრულოს გორკის საავტომობილო ქარხანამ. გორკის რაიონში აშენდება სამლერძიანი ავტომობილების ქარხანა-ფილიალი. აქ გაჩნდება კიდევ ერთი ქარხანა — თანამგზავრიც. მის საამქროებში გაკეთებენ სიჩქარეთა კოლოფებს. გათვალისწინებულია, რომ აშენდეს ძველი მოდელების მანქანების სათადარიგო ნაწილების რამდენიმე ქარხანა.

დიდი მშენებლობა წარმოებს ზილის ტერიტორიაზე მოსკოვის მცირელიტრაჟიანი ავტომობილი საზოგადოება „ფიატის“ მონაწილეობით. ამ საკითხზე უკვე ხელი მოაწერეს შესაბამის შეთანხმებებს. „ფიატის“ ფირმის მონაწილეობით საბჭოთა კავშირში აშენდება ქარხანა, რომელიც დღეში ორი ათას ავტომობილს გამოუშვებს.

როგორი იქნება ახალი ქარხნის მანქანები? ალბათ ყველაზე მეტად ეს აინტერესებს ავტომოყვარულებს. გადაწყვეტილია, რომ ქარხანამ ნიმუშად გამოიყენოს „ფიატ-124“ — მიმდინარე წლის მოდელი. უნდა ითქვას, რომ ახლა მსოფლიოს ბევრი ქვეყანაა იძულებული დასახმარებლად მიმართოს იტალიის საავტომობილო ფირმებს. ამ ქვეყნებს მიეკუთვნება ინგლისი და საფრანგეთიც, საქმე ის არის, რომ იტალიელმა სპეციალისტებმა ყველაზე დიდი წარმატებანი მოიპოვეს მსუბუქი მანქანების ძარების შექმნაში. ეს ხელოვნებაა, რომელსაც დღეს მაღალ მოთხოვნებს უყენებენ. მათ შორის ტექნიკურსაც.

სულ მალე ჩვენი ქალაქების ქუჩებში, ალბათ, ასეთ სურათს ვიხილავთ: ერთ-ერთ ადგილას, ბოლოს ტანსაცმელ-ფეხსაცმელ-ქუდებიანი ადამიანი ჩერდება, ხელს ასწევს, ერთ-ორ წამში ეჯდომა ავტომობილი, ერთ-ორ წამში ეშვება ადგილზე, ერთ-ორ წამში ადგილიდან ძვრა, ერთ-ორ წამში ... ეს ... ეს ... ეს